ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13250586**

თარიღი:**27/02/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით - უზუფრუქტის ფორმით, 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გადასცეს ა(ა)იპ-ს „ერთად რეალური ცვლილებებისათვის'', ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ქალაქ ახალციხეში, კეცხოველის ქ. N6 - ის (ს/კ 62.09.58.387.01.502) VI სართულის N13 ოთახი.

საფუძველი - ა(ა)იპ - „ერთად რეალური ცვლილებებისათვის'' 2024 წლის 28 ნოემბრის N72/24 (28.11.2024წ N10/122433394-12) მომართვა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი